საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაჩნაძის ელჩობა

ვაჩნაძის ელჩობა რუსეთში 1588–89, კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში. ელჩობას მეთაურობდა დიპლომატი და სახელმწ. მოღვაწე თავადი ყაფლან ვაჩნაძე. ვ. ე-ში მოხსენიებული არიან კირილე ბერი და ჩერქეზი ხურშიტა. ვ. ე. იყო პასუხი ბირკინის ელჩობისა (1587–88) კახეთში, როდესაც კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ მიიღო რუსეთის სახელმწ. ერთგულების ფიცი. მფარველის მოვალეობა მეორე ოფიც. დოკუმენტით (წყალობის სიგელი) უნდა გაფორმებულიყო. ამიტომ ბირკინის ელჩობას უკან გაჰყვა ვ. ე., რ-იც კახეთიდან 1588 გაემგზავრა. რუს. ხელმწიფემ, თედორე ივანეს ძემ, შეიწყნარა კახეთის მეფის თხოვნა და განაცხადა, რომ მათთან ერთად წყალობის სიგელით კახეთში გაგზავნიდა თავის ელჩებს (იხ. ზვენიგოროდსკის ელჩობა კახეთში 1589–90).

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; Б е л о к у р о в С. А., Сношения России с Кавказом, т.1 (1578–1613), М., 1889.

ვ. მაჭარაძე